# თეატრი და ცხოვრება

ფასი 15 მანათი

№ 12 გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

## „თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 200 მან., ნახევარი წლით 100 მან. თითო ნომერი—15 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქუჩა № 20 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ; ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, მარტის 28 | გამოცემა 1920 წ.




ვასილ როსტომის-ძე ყიფიანი

სამეურნეო ბანკში მისი მოღვაწეობის 25 წ. შესრულებისათვის

დრამატურგი, საზოგადო-საბანკო მოღვაწე და სახელმძღვანელოების შემდგენი. მასწავლებლობდა კავკავში, ქუთაისში სააზ. სკოლის ინსპექტორად, შემდეგ თბ. სამეურნეო ბანკში, დაარსებიდანვე როგორც დირექტორი—ხაზინადარი და ბოლოს გამგეობის თავმჯდომარედ. ვინც იცნობს სამეურნეო ბანკს—იცნობს ვ. ყ-საც, ხოლო ვინც იცნობს ვ. ყიფიანს—იცნობს სამეურნეო ბანკსაც. ბანკმა 25 წ. წინად მოქმედება 10000 მან. დაიწყო ახლა—600000 მან. ავიდა მისი ძირითადი თანხა. პირველმა შეადგინა ქართული სახელმძღვანელო „ალგებრა" და სხ., დასწერა პიესა „სამეგრელოს მთავარი ლევან" და სხ. ბანკში პატიოსანი და უანგარო მოღვაწეობის 25 წ. შესრულების გამო ბანკის წევრნი იუბილეს უმართავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფხიზლად, ფრთხილად და მარჯვედ!

ჩვენის სამშობლოს ცაზე ღრუბლები კვალად აირია: ბათომის ბედის გართულებამ, დენიკინელთა მარცხმა, ბალშევიკთა მოქმედებამ ჩვენის ქვეყნის მტრებს ციებ-ცხელება აუტეხა...

მოჰყვნენ გველისებრ სისინს.

ზოგი რას ამბობს, ზოგი რას, რომ ჩვენის სამშობლოს დამოუკიდებლობას, მის ეროვნულ ცხოვრებას ნირი შეუშალონ.

და ხო მოგეხსენებათ, სანამ ხმალი მივიდა—ენამ თავი მოჰკვეთაო.

ენის ქაქანით, სხვადასხვა ჭორებით ცდილობენ ჩვენში, შიგნით ბნელ ხალხში ანუ სხვადასხვა მიზეზით განაწყენებულ წრეებში უკმაყოფილება გამოიწვიონ, არეულ-დარეულობა შექმნან, რომ გარეშე მტერს შემოსვლა გაუადვილდეს.

მაგრამ უქმია მათი ენის სისინი!

ვიდრე ჩვენი ნაწრთობი დემოკრატია სადარაჯოზე სდგას, ვიდრე ჩვენი შეუდრეკელი გვარდია და ნორჩი გაწვრთნილი ჯარი მამულიშვილურ-ხალხოსნური გატაცებით ჰფლობს ეროვნულს და სოციალისტურ დროშას, საფრთხე ვერ შეგვაშინებს...

საჭიროა მხოლოდ ყველა მოქალაქემ მტკიცედ შევასრულოთ საკუთარი ვალი: ვიყვნეთ ფხიზლად, ფრთხილად, მარჯვედ და შინაურ და გარეშე მტრების მოსყიდულ შავბნელ ძალებს გზა არ მივცეთ ჩვენს ხალხში მოქმედებისა...

თორემ შენი მტერია, თუ ოდნავ შეირყა ჩვენი საკუთარი რწმენა: გარეშე მტერი წალეკავს არა თუ ჩვენს ხელოვნებას, მწერლობას, კულტურას,—საკუთარ ჩვენს სიცოცხლესაც!..

მაშ ფხიზლად, ფრთხილად და მარჯვედ!

იოსებ იმედაშვილი

# სათეატრო შენიშვნები

თეატრი—ხალხის აკვანია, მასზედ მომუშავე—აღმზრდელი. თეატრის სცენაზე განსახიერებული სურათები—ეს ჩვენი ცხოვრებაა, ცხოვრება სინამდვილესი, უტყუარი ფაქტორებისა; თეატრი—სარკეა, სწორედ მისი მაჩვენებელი, რაც სინამდვილეშია. თეატრი—ხალხის სკოლაა და მისი დამახინჯება, ეს ხალხის და მისი ცხოვრების ისტორიის დამახინჯებაა. ამ შემთხვევაში ყველაზე მეტი ყურადღება, დაკვირვება სჭირია მუშათა უბნებს.

დღემდე თუ სახემწიფო მართვა-გამგეობის სათავეში ალვირ-ახსნილ, გარყვნილ გამოვნებათა დიკტატორ ერეთიკოსები ედგნენ, დღეს სათავეში დემოკრატია მოექცა, რომელმაც ძველი დაანგრია და ახალის შენებას მიჰყო ხელი; და ახალი შენობის საუკეთესო საძირკველი ხომ თეატრია, თეატრი—ხიდია აღთქმის ქვეყანაში გამყვანი. მაშ ვისაც თეატრის გამგეობა უკისრია, ვინც მსახიობთა და სცენის მოყვარეთა წრეს, თუ საზოგადოებას ხელმძღვანელობას უწევს, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ცოდნა, უნარი, ზნეობა, კაცთმოყვარეობა და სხ. ვისაც ეს თვისებები არა აქვს, ხელი არ უნდა მიჰყოს ხელმძღვანელობას, ხოლო თუ მაინც წაეპოტინება, ის მოღალატეა ხალხის და მისი ზნეობრივი აღზრდის.

ჩვენი საზოგადოება თეატრისთვის რომ მომწიფებულია, ამის მაჩვენებელია ქალაქის არა თუ შუა გულში, არამედ გარე უბნებშიაც გამრავლებული სახალხო კლუბები, დაბა სოფლების თეატრები, სცენის მოყვარეთა წრეები და საზოგადოებანი. ხალხი, როგორც პურს არსებობისთვის ისე თხოულობს თეატრსაც სულიერ და გონებრივ საზრდოსათვის. ამისათვის საჭიროა ნაგავით არ ვკვებავდეთ ხალხს და მომავალ აღთქმის ქვეყანას მივცეთ გონებრივად მომწიფებული წევრები.

ამას შესძლებს თეატრი, თუ მას, როგორც ზემოთ ვსთქვით, კარგი ხელმძღვანელი ყავს.

ან. კაციაშვილი

# ალავერდი

თავისუფალ საქართველოს
გაუმარჯოს! ალავერდი!
აყვავდეს აწ მისი მკერდი!..
ალავერდი! ალავერდი!

ალავერდი ჩვენსა ჯარსა:
გმირს ლომივით მეომარსა,
რისხვის მეხსა ბრძოლის ჟამსა!
ალავერდი! ალავერდი!

ალსდეგ, მუშავ, გაიმართე,
უნარი და ძალა სცადე,
გზა გაკაფე, გაინათე!
ალავერდი! ალავერდი!

იო გურჯისტანელი



**მსახიობი მიხ. ი. ნემო**
(35 წ. მოღვაწეობის გამო)

მიხ. ნემო (ჯანოევი) პირველად სცენაზე გამოვიდა ქ. პეტერბურგში 1885 წ. სტუდენტების სალამოზე, „რაც გინახავს ველარ ნახავ“-ში. შეასრულა ორი სხვა და სხვა ხასიათის როლი: გლეხი ილუა და იმერელი კოხტაია. რუსეთიდან დაბრუნებისას ქუთაისში მასწავლებლობდა. 1888 წ. კ. მესხმა შეადგინა დრამატიული წრე და წრეში მ. ნემოც მიიწვია (პირველად „გაძარცულ ფოშტა“-ში კურიოლის როლის ნიჭიერი ასრულების შემდეგ).

აქედან იწყება მისი სცენაზე მუდმივი მოღვაწეობა. მესხის თბილისში გადასახლების შემდეგ, სათეატრო საქმეს ქუთაისში ხელმძღვანელობდა მსახიობთა ამხანაგობა, რომელშიაც მ. ნემოც მხურვალე მონაწილეობას იღებდა. მეთაურთა შორის იყვნენ ვ. ბალანჩივაძე, გ. თუთბერიძე, მ. მარჯანიშვილი ძნელი ასაწერია, თუ როგორ გმირულად უძღოდენ ესენი თეატრის საქმეს. მათთვის საკმარისი იყო თეატრის ხარჯები გაესტუმრებინათ, ოღონდ წარმოდგენების მართვის საქმე არ შეჩერებულიყო ქუთაისში. ამ დროს ამხანაგობას მოემატა შ. დადიანი და დ. ივანიძის ქალი. საქმის გასაუმჯობესებლათ ამხანაგობამ ხელმძღვანელად მიიწვია ვლ. მესხიშვილი. როცა ვლ. მესხიშვილი დასის ხელმძღვანელობას შეუდგა, იმდენათ კარგად წავიდა წარმოდგენების მართვის საქმე და განსაკუთრებით რეპერტუარი, რომ დამსწრე ხალხმა იმატა თეატრში. აქ მ. ნემომ პირველად მიიღო თავის შრომის გასამჯელო 3 მან. მის სიხარულს საზღვარი არ ქონდა. მესხიშვილმა მოაწყო გასტროლები თბილისის მსახიობებისა. ამ დროს მ. ნემო იჩენს მეტს უნარს მუშაობისას. დგება ანტრეპრიზა დრ. საზოგადოებისა, მაგრამ მას დიდი დღე არ აქვს. ამის შემდეგ ანტრეპრენიორად და დასის ხელმძღვანელად რჩება ვლ. მესხიშვილი, მან მოიწვია იმ დროს საუკეთესო მსახიობები დასში, მათ შორის მ. ნემოც.

მ. ნემოს უმთავრესი ამპლუა არის კომიკური როლების თამაში, განსაკუთრებით ეხერხება ქარ. ებრაელთა როლები ამ ტიპების შექმნაში მას ქარ. სცენაზე პირველი ადგილი უჭირავს. უთამაშნია მრავალი სხვა და სხვა ხასიათის როლი, როგორც თარგმნილ ისე ორიგინალურ პიესებში. 1888 წ. დაარსა მუდმივი სცენა ქუთაისის სომხურ სკოლაში. თითქმის ყველა დაბა-ქალაქებში გაუმართამს წარმოდგენა პირველი ქართული წარმოდგენა გამართა ხონში. მონაწილეობა მიუღია უფასოდ ყველა საქველმოქმედო წარმოდგენაში, რომელიც იმართებოდა ჩვენს დაბა-ქალაქში, როგორც სცენების წაკითხვით ისე მოსწრებულ კუპლეტებით. ამ ახლო მომავალში ქუთაისში იმართება სადღესასწაულო წარმოდგენა მისი ქარ. სცენაზე 35 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავათ, რისთვისაც უკვე შესდგა კომისია.

**უნი**

# ფიქრი საქართველოზე

## IV

### ჩ ვ ე ნ ი  ლ ა შ ქ ა რ ი

ვისაც მოუკლავს ის მოკლავს
ნადირსა შავი ტყისასა,
ვინც დახვდა იგი დახვდება
გულ-და-გულ რაზმსა მტრისასა.

**ხალხური თქმულება.**

რა დიდებული და მშვენიერი დღე იყო მარტის 12.

ამ დღეს თბილისმა იხილა არა თუ მარტო დღესასწაული ჩვენი დემოკრატიისა, აგრეთვე იხილა რესპუბლიკის მტკიცე ზღუდე და საფუძველი, მისი შეიარაღებული ძალა—ჩვენი ჯარი და გვარდია.

მართლაც, რომ დიდებული სანახაობა იყო. რუსთველის პროსპექტი ამ დღეს არაჩვეულობრივ რამეს წარმოადგენდა.

ჰა, გაისმა მუსიკის ხმა და დაიძრა ჩვენი ლაშქრობა.

აგერ ცხენოსანი დივიზიონი, შემდეგ იუნკრები, ქვეითა ათასეულები, შუბებიანი ცხენოსანი მხედრები, ტყვიის მფრქვეველთა რაზმი და ბოლოს არტილერია, თავის მრისხანე ზარბაზნებით.

სრული დისციპლინით აღჭურვილნი, კარგათ ჩაცმულნი, მრისხანე ვაჟკაცურ გამომეტყველებით, ისინი დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებდენ ყველაზედ.

ვაშა, მათ ხელმძღვანელთ და წინამძღოლებს, რომ ასეთი მტკიცე ძალა შეუქმნეს ჩვენს რესპუბლიკას. მათ არ დაივიწყებს ერის ისტორია და აღბეჭდავს სამარადისოთ მათ დიდებულ ნამოღვაწარს...

საქართველოს დღეს მათის მეოხებით მოეპოვება მრისხანე შეიარაღებული ძალა, რომელიც ფოლადისებრივი სიმტკიცით და რაინდულის თავდადებით დაუხვდება რესპუბლიკის თავხედ მტრებს და თავზარს დასცემს მათ. რა ბედნიერებას და სიხარულს გრძნობ ხოლმე ადამიანი, როდესაც იხილავ ნატვრას აღსრულებულს და ოცნებას განსახიერებულს...

ვინ წარმოიდგენდა ამ სამიოდე წლის წინათ ასეთ გარდაქმნას, ასეთ ცვლილებას „ქართლის ბედისას“.

სწორეთ იმ ადგილას, სადაც დღეს უზენაეს აღმაფრენით ზეიმობდა ჩვენი ლაშქრობა და ჩვენი ხალხი, ამ სამი წლის წინათ, სწორეთ ამავე ადგილსავე ბუკს და ნაღარას სცემდენ და გამარჯვებას დღესასწაულობდენ ჩვენი მტანჯველები და სულთამხუთავები...

აი, ასეთია ისტორიის რკინის კანონი. ის რაც უცხოა, შორით მოსული, უხეში ძალით გაბატონებული, სხვისი მტანჯველი, მჩაგვრელი და სულის მხუთავი, უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადრე თუ გვიან ალიგაოს, გაქრეს ან წარვიდეს იქ საიდანაც მოსულა.

და ასედაც მოხდა, ისტორიის კანონმა თავისი გაიტანა.

არსებობს რაღაცა უხილავი ძალა, ინტიმური სულიერი კავშირი, რომლის მეოხებითაც უკავშირდები, უახლოვდები შენს წარსულს, შენს წინაპართა განვლილ ცხოვრების ეპიზოდებს. შენ გრძნობ შენს არსებაში იმათ აქ ყოფნას, იმათ მუშაობას და ამის და მიხედვით წარმოიშობა დაახლოვებითი შენი ყოფის და მოღვაწეობის გზა და ხიდი და მიმდინარეობა ხოლმე.

მით უმეტეს ეს აგრე არის ერის ცხოვრებაში. განვლილ ცხოვრებას, მის წარსულს, მის ისტორიას, მის აწმყოზედ და მომავალზედ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ, ჩვენი დიდებული წარსული, ჩვენი ბრწყინვალე ისტორია, მუდამ გვასალკლდევებდა, მარად გვაიმედებდა, რომ:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევ გაიღვიძებსო“.

და სწორეთ გაიღვიძა, აღსდგა და შეიმოსა ჩვენი ერი ძლევამოსილების შარავანდედით, და ისევ „შეკრბა დიდუბეს მისი ლაშქარი“... ამას ვგრძნობდით ჩვენ ყველანი და იმიტომ ვიყავით სიხარულით გარემოცული...

მხოლოთ, ჩვენს სიხარულს ერთი რამ ანელებდა, ერთი რამე არღვევდა.

ეს სევდა ყველას ჰქონდა აღბეჭდილი სახეზე, როგორც მხედრებს ისე მოქალაქეებს.

ეს სევდა არის სევდა ჩვენი კოლხეთისა და მისი კარის ბათომისა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ტიტანისებრივი სულისკვეთებით და ფოლადისებრივი შეურყევლობით დაიძრა საქართველოს ლაშქარი, რათა გაერღვია ის კედელი, რომელიც ხელოვნურათ ძალით აღმართეს ორ ძმათა შორის და ციხისძირის და ანარიის მწვერვალებზედ აეფრიალებინა დროშა მძლეველი—დროშა საქართველოისა.

მაგრამ, დღეს-დღეობით გადადებულია.

აი, ეს სევდა არღვევდა საერთო სიხარულს და საერთო აღტაცებას.

ქართველის გული არ დაწყნარდება, ვიდრე არ გასწორდება ეს ისტორიული შეცდომა. ვიდრე არ გაერთიანდება საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველო „ერთსულ და ერთგულ“...

ბუნებაც ამ დღეს მშვენიერი იყო. ზამთრის სუსხით გარემოცული თბილისი ამ დღეს ცხრა-თვალა მზემ თავისი ცხოველმყოფელ სხივებით მორთო, გეგონებოდა მარტი კი არა მაისის ბრწყინვალე დღე არისო.

დიახ, რომ დიდებული და მშვენიერი იყო ეს დღე.

**გრიშა კუნჭულია**



# მ შ ვ ი დ ო ბ ი თ!..

(ნ ა რ უ მ ს)

ვეღარ მოუსმენ ჩემი ქნარის ფარულ სიმღერას?..
გზა მშვიდობისა!.. ნუ აყოვნებ სითაც იჩქარი...
ვინ გაექცევა დაუნდობელს ბედისა წერას?!..
დე, დავიწვა ტანჯვის გენიით ვით კელეპტარი!..

შენს ხატებას ვერ დავივიწყებ ჩემს სიცოცხლეში...
შენ-ღა იქნები ჩემი სულის ფლიდი მესია...
სპეტაკ-სიყვარულს თან ჩავიტან ცივ-სამარეში,
გამოგიგლოვებ შავი ძაძით, როგორც წესია!..

**პრ. ოდიშელი**

# სული შეუცნობელი

I

ხელების მთელი ლეგიონი იყო მისკენ გაწვდილი..

ყველა მათგანი სცდილობდა დაემორჩილებინა ამაყი, მიუწდომელი ქალი და, ჩვეულებისამებრ, თვისი ტლანქი შეხებით გაეჯიჯგნა, მაგრამ ვერც ერთს ვერ დაეძლივნა...

სძაგს ქალს ვნებით აღგზნებულნი თვალნი, ფაქიზ სულის შეურაცხმყოფელნი...

ვერ აიტანა მათი სიახლოვე და ვადასწყვიტა საზიზღარ ჯალათებს გასცლოდა, განდეგილად გადახვეწილიყო

მირბის .. მირბის ქალი, თითქოს ვილაცა მისდევსო—და ამ გვარად მიახწია ერთ საარაკო მთის მწვერვალს, სადაც ყვავილთა ბაღის შუა საუცხოვო კოშკი იყო აღმართული.

ამ უცხო სანახაობამ და საამო სურნელებამ სავსებით მოაჯადოვა განდეგილი ქალი.

— ვინ უნდა ცხოვრობდეს ამ მომხიბვლელ კოშკში? გაიფიქრა ქალმა და თვისდა უნებურად კოშკის კარებს მიადგა

კოშკი მხატვრის ატელიე აღმოჩნდა.

მხატვარი შემოქმედებას გაუტაცნია, ვერ აჩნევს მოულოდნელ სტუმარს.

ქალი ინერციულად უახლოვდება შემოქმედების ტილოს და კითხულობს: „სული ობოლი“.

— მე ვარ!.. მე!.. შეჰყვირის ქალი და შემომქმედის წინაშე მუხლს იდრეკს..

მხატვარი გაოცებისაგან ერკვევა.

— ვითარ მოახწიე ჩემს ატელიემდე, ქალო? ვინა ხარ?

— ვინა? აკი შეგიქმნია ჩემი სახე!.. დაუკვირდი შენს შემოქმედებას—არა მგავს ეგ სურათი?

მხატვარი შეაშტერდა ქალს—იცნო თვისი შემოქმედების მთლიანი სახე და ორი ლვიძლი სული ერთი მეორეს გადაესკვნა...

II

განაგრძობს წარმტაც, ზეციურ სიცოცხლეს ორი შესისხლხორცებული არსი.

ყაყის ხატება ქალს კერპად დაუსახავს; მისი სული და გული სამლოცველოდ გაუხდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქალის ხატება ვაჟს დაუსახავს ალმაფრენად.. სუნთქვად, რომელიც ათბობს მის დიად სულს.

ქალი თანდათან იზრდება... სრულიად სწვდება მხატვრის ყოველს შემოქმედებას... არც ერთი უბრალოდ გასმული ხაზი ქალს არ რჩება გაუგებარ-შეუცნობელი...

— ხომ შენა ხარ ჩემი ალმაფრენა?.. თვით ჩემი შემოქმედება? ეკითხება ვაჟი.

— ვარ!—უპასუხებს ქალი.

— ხომ ჩემი ღმერთი ხარ? ჩემი წმიდათა წმიდა სამლოცველო?—ეკითხება ქალი.

— ვარ! უპასუხებს ვაჟი...

## III

გადის დრო. მიწიერმა ჯალათებმა მიაგნეს დაუმორჩილებელი ქალის სამისტერიო ტაძარს.

— როგორ ვიძიოთ შური? ეკითხებიან ერთი მეორეს შავი აჩრდილნი.

— თვით ქალის ღმერთს დაუწყოთ დევნა, რომ თვისი თაყვანისმცემელი თვითონვე გასრისოს...

მხატვარი ჰგრძნობს რაღაც უხილავი აჩრდილი შემოეჭრა სულში და შემოქმედების ცეცხლს უსუსტებს.

— რა მემართება? ნუ თუ ქრება ჩემში ღვთიური ცეცხლი?!—ბოლმობს მხატვარი.

შემოდის სალოცავად მომზადებული ქალი.

მხატვარი კრთება... რაღაც საშინელი აზრი გაუვლის თავში...

— ნუ თუ ეს არის ის შავი აჩრდილი, რომელიც მატლივით შეძვრა ჩემს სულში და იქაურობას ანადგურებს? გაიფიქრა მხატვარმა და თვალებმა დაუკვესა.

— რა გაიფიქრე? როგორ მოინანიებ მაგ ცოდვას? შეხედე, რა უანგაროა, რა წრფელია მისი შენდამი ლოცვა!..—საყვედურით ეუბნება მისი შემოქმედების სული.

— არა! ეს ბოროტი სულია... განსდევნე... განსდევნე შენგან, თორემ ინანებ,—უკარნახებს შავი აჩრდილი.

— მაშ შენა ხარ ჩემი სულის ჯალათი? წამოიყვირებს მხატვარი და მხურვალე ლოცვით გატაცებულ ქალს მაღლობიდან გადისვრის...

ჯალათები შეიპყრობენ მხატვარს და იქაურობას ანადგურებენ...

## IV

შემოსულმა ჯალათებმა გონება დაკარგული ქალი გრძნობაზე მოიყვანეს, რომ საბრალოსათვის სიკვდილის წინ კვლავ ეგრძნობინებინათ აუტანელი ტანჯვა-ტკივილი... კბილთა ხრჭენით ქალის კერპის და სამლოცველოს ნატეხები წინ დაუყარეს..

— დასტკბი!.. გაქვექეც ჩვენ... ზე-ქალობა მოინდომე? ხომ დაგამარცხეთ? ხომ გაგთელეთ? ეხლა მოკვდი!.. შენი სიკვდილი გვწყურიან... აი შენი საფლავი... უკვე მზად არის...

— გმადლობთ ჯალათნო! ნელის ხმით ამბობს ქალი: როცა თქვენ შემოსეული მყევხართ, ერთად ერთი ჩემი მხსნელი მხოლოდ სამარეა... მოიტათ ჯვარი, რომელიც საფლავზე უნდა დამადგათ... მე მსურს უკანასკნელი სიტყვა წავაწერო.

და ქალი აწერს თავის ჯვარს:

„იყავთ წყეულნი, ტლანქნო ძალანო, რომელთაც კერპი დამიმსხვრიეთ და უწმიდურის ხელებით სამლოცველო შემიბილწეთ!..

იყავთ წყეულნი, ბოროტნო სულნო, რომელთაც ჩემს სულში პირველად აყვავილებული ყვავილები სამუდამოდ ამოგლიჯეთ და სიკვდილის წინ მხოლოდ მოგონება შემანარჩუნეთ!..

იყავთ წყეულნი, ბნელნო ძალანო, რომელთაც ჩემსა და ჩემი ღმერთის შორის იდუმალ გაბმული სიმების ჰანგი ველურად დასწყვიტეთ და დაუმთავრებ_ლი მელოდია განგმირულ ბაგეთ შეაყინეთ.

იყავთ წყეულნი, საზიზღარნო ჯალათნო, რომელთაც ვერ გამიტანეთ, რადგან თქვენზე მაღლა ვიდეგ... წმიდა ვიყავ!.. და სიცოცხლეს გამომასალმეთ, მაგრამ ჩემი კერპის ნატეხებს მაინც არ დაგიტოვებთ ფეხქვეშ გასათელად!..“

დაამთავრა წარწერა თუ არა, სწრაფად აკრიფა კერპის ნატეხები... ჩაწვა სამარეში და ნეტარის ღიმილით გულზე ხელები დაიკრიფა...

## V

როცა სამარეს მიწას აყრიდენ, ჰაერი საშინლად დამძიმდა...

ჯალათებმა თავი დაჰხარეს, სინდისის ქენჯნა იგრძნეს... და ერთი მეორეს ეკითხებიან:

— რისთვის? რისთვის მოუსპეთ სიცოცხლე ამ ქალს? და ხმა იდუმალი პასუხს აძლევთ:

— იმიტომ, რომ ვერ შეიგენით წმიდა სული და განგმირეთ! ჯალათნი ხართ, ჯალათნი!

— მოდით, ამოვიყვანოთ საფლავიდან... ჯერ არ იქნება მთლად მკვდარი... გავათბოთ... პატიება ვთხოვოთ..

გაისმოდა ჯალათების ყიჟინი.

და დაიწყეს სამარიდან კვლავ მიწის ამოყრა.

მაგრამ... გვიანღა იყო... ქალი მკვდარი დახვდათ...

**ლენა პარნასელი**

# წერილები პარიზიდან

წერილი პირველი.

**ჩემო სამოთხის კლიტე-გასაღებო, მაგდა!**

დიდი ბედნიერება მეწვია! საქართველოს წარმომადგენელი ვარ პარიზის კონფერენციაზე! მაგრამ გაგიკვირდება, რომ, წინად არ ჩვეული წერილის წერას შენთან, ეხლა გწერ. ამას თავისი მიზეზები აქვს: მინდა ჩემი წერილის ამბავი, ანუ შინაარსი ყველამ გაიგოს და დედაკაცის პირში ჩავარდნილ ამბავს რომელი რადიო აჯობებდა?!

ამისთვისა გწერ შენა!

იმედია ნამდვილს შენსასაც დაუმატებ!

შენ ალბადა გსურს იცოდე, რა ჰხდება პარიზის კონფერენციაზე. ეს სიტყვა „კონფერენცია“ ახალი გამოსათქმელი სიტყვაა იმ ძველი შემეცნებისა, რომელსაც ქართულად ჯოჯოხეთი ჰქვიან. ჰოო და შენ გინდა, რა ჰხდება ამ ჯოჯოხეთში, კონფერენციაზე?.. ოოო... დიდი ამბები ჰხდება! ტარტაროზები, ჭინკები და ვინ იცის, რა ჯურის ქაჯები არ დარბიან იქ! ყველა კი ერთ საქმეს აკეთებს: უკეთებენ ცეცხლსა და ზედა სწვავენ სხვადასხვა „ცოდვის“ ადამიანებს. ამ დღეებში ერთმა ინგლისელმა ასეთი აზრი გამოსთქვა: აქაური ნავთი ჯოჯოხეთისთვის ველარა ვარგობს და საჭიროა ბაქოდან უკეთესი ხარისხის ნავთი მოვიტანოთო. ამ ნავთს ბათომზე გამაატარებენ.

მეტის-მეტი ტანჯვაა აქ, ამ ჯოჯოხეთში!

არ იკითხავ, ვინ იტანჯებიან აქ?

პირველ რიგში რუსეთი იხრაკება, მერე გერმანეთი, ავსტრო-უნგრეთი და ბოლოს პატარა სახელმწიფოები.

ერთ სომეხს არ მოეწონა სიცხე და სთქვა: რა უბედურებაა ასეთი აუტანელი სიცხეო. ამაზე ერთმა ეშმაკმა, რომელიც,—ვიდრე სულს მიჰყიდდა ს..მეხი, მეგობარი იყო მისი,—მთელი ქვევრი კუპრი დაასხა თავზე და უთხრა: გაჰგრილდებიო.

ეშმაკები ყველა ერთხმად აღიარებენ, რო საქართველოს თავ-ფეხის მეტად გემრიელი სხჭმელი გაკეთდებაო (ჩვენებურად ხაში ჰქვიან ამნაირ საჭმელს). ტარტაროზებში ყველაზე მეტი ტარტაროზობა ინგლისმა გამოიჩინა, ჩვენ რომ წინად მფარველი გვეგონა პატარა ერებისა. ინგლისზე სხვა დროს მოგწერ წერილს, თორემ ეხლა ისე გამიჭიანურდა, რომ იქნება ბოლომდე არც კი წაიკითხო, რადგანაც დედაკაცისთვის ავხორცობისა და მტლაშამტლუშის გარეშე ყველაფერი მოსაწყენია.

ერთი რამ უნდა გკითხო: როგორა ხარ? გავიგე, რომ მანდ ინგლისის ჯარი ჩამოსულა და რაღა გიჭირს! ალბად მუხას რკოს ნაცვლად შოკოლადები ასხია, დ ფოთლების მაგიერ კიდე სხვადასხვა გვარი ფარჩეულობა, რომელისაგანაც ვინ იცის რეებს არ იკერავ, და მათ შორის, შენ ხომ გიყვარდა ისეთი თხელი კაბის ჩაცმა, რომელშიაც ყველაფერი გამოგიჩნდება?!

მაგრამ თავი დავანებოთ ამას, მხოლოდ აჰისრულე ერთი პატარა თხოვნა და მომწერე: რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, შენთვის ეხლა მაინც ვისმე ქართულად არ გამოუცხადებია სიყვარული? ან ლამაზ ქალს არ დაულაპარაკია ქართულად?

მე ჯერ არ გამიგია, ლამაზ ქალს ქართულად დაელაპარაკოს!

**შენი კოხტა.**

**ი. მჭედლიშვილი**

P. S. დამავიწყდა კიდევ ერთი თხოვნა: როცა წერილს მწერ, ქვეშ შენი სახელის მეორე ნახევარს „ლინა“-ს ნულა მოაწერ ხოლმე. საკმარისია პირველი ნახევარი „მაგდა“, თორემ იგი იმ მაგდალინელს მაგონებს, რომელიც რომაელ ჯარის კაცს დაჰნებდა. **კოხტა**

# უხმობ!.. უყივი!..

(განცდა ბათომში)

მომეცით ბუკი და ნაღარა, რომ დავკრა იგი ტყვე გმირების ასახმაურებლათ... ჩვენც ხომ ნაცადი გმირეჰი ვართ, მაშ რათ გვეძინოს... ოოხ, ჩქარა, ჩქარა სირცხვილეული რომ არ დავხვდეთ ჩვენებს... არწივებს...

შეხედეთ აგერ ახლოს არიან, აი სულ ახლოს, კარიბჭესთან. გარკვევით ისმის მათი მძლეთა-მძლე თავისუფალი და ამაყი ზახილ-კიჟინი.

ოო, მალე... მალე! სიხარულით ამუსიკალდა სული ტანჯული. ახ! ველარ ვითმენ, დამილონდა სული ლოდინით... არწივებს ვუცდი, იმათ ველი!

უხმობ!.. უყივი!..

სიზმრათ ვიყავ, სიზმრათ მესმოდა თავისუფლების შემოძახილი სიმღერები. მაშ სად წავიდნენ, რა იქმნენ ჩემი გმირები?..

რა ახლოს იყო, რა გარკვევით მესმოდა იგი.

ახ! კვლავ გაფრინდენ! ნეტა როდემდის, რაღა ვქმნა ღმერთო!!!

მოფრინდებიან! მათ აღარ ძალუძთ უჩვენოთ ყოფნა: „მისი მისთაგანს“ ვერ წაუვა, ვერ გაექცევა. · და ამ იმედით დავფართფატებ ტყვეთ-ქმნილ ქალაქში, კვლავ მათ ვეძახი თავისუფლების მატარებელთ...

უხმობ!.. უყივი!..

——

დავძრწი, ვით ხელი, ტყვე ქალაქში და დავლასლასებ; სული ეული ვერ ურიგდება ბრბოს გასუყებულს...

სისხლის ცრემლები უნებურათ დამდის ლაწვებზე, მკერდ-გაღეღილი შეშლილივით ვიხოკ წვერს და თმას...

მივეშურები სამების მთაზე წმინდანთ სავანეს... და გაფრენილებს—მხსნელს არწივებს ვსთხოვ, რო მოფრინდენ დასახსნელად...

უხმობ!.. უყივი!..

**გ. ა—ბელი**

# სამი ასო

(ორამეტეგოს)

ჩემი მეგონე... გითავაზე ზღვა გული ბუდეთ
და გიჟი სულიც ლალ-ზურმუხტით გარს შეიმოსა,—
ერთს გენაცვალე, მტლად დაგედე, მოგევლე ზღუდეთ..
უმანკო იყავ, ნაზი, როგორც მორცხვი მიმოზა...

ოთხი ზაფხული ჩუმი ტრფობა ვატარე გულით,
ხატები დავგმე, შენ გაგხადე ჩემი უფალი...
ბოლოს ავტირდი შენ წინაშე სიტყვების ქულით...
მაგრამ „არა“ სთქვი და დამტოვე ჰირისუფალი...

სამი ასოთი მომკალ, მაინც ჩემთვის ხარ წმინდა...
აღარ მახარებს ქრისტეს შობა მკვდრეთით აღდგომაც...
ლამაზი სული ეჰ, ირღვევა, ვით ძველი წინდა...
ცრემლები მცვივა, ვით ფოთლები ცივ შემოდგომას...

მეფე ლირივით აძონძილი დავალ ტყეებში...
გულ დაცხრილულსა მელანდება: კუბო და მღვდელი...
უეცრივ ვქრები, ვითა თოვლი მზიან დღეებში,
ით ნ ორჩ საფლავზე ანთებული ქარში კანდელი...

**კ. რატიშვილი**



იასონ ლუკას ძე კაპანაძე (თავბერა)

აი, თეთრ წვერა სპეტაკი მოხუცი, რომელმაც არა ერთი და ორი თაობა აღზარდა გლეხთა შვილებისა. იასონი—საერთოდ ყველასი და, განსაკუთრებით, პატარა მოწაფეების სულის ჩამაბრუნებელი მოდვაწე-მასწავლებელია. ვინ აღწერს, რამდენი ამაგი მიუძღვის ჩვენს სახელოვან მოხუცს მთელი 43 წლის განმავლობაში, როგორც სახალხო მასწავლებელს, სოფლის მეთვალყურესა და მოღვაწეს. მას ერთხელაც არ უღალატნია თავის დიადი რწმენისათვის. მისი ნაშრომის ნაყოფი უკვე სჩანს... მან ბევრ გლეხ-კაცის შვილებს აუხილა თვალი, შეგნებულ ცხოვრების გზაზე დააყენა. ხშირად ათავსებდა წერილებს ქართულ-რუსულ გაზეთებში ი. „თავბერა-“ს ფსევდონიმით. უსურვებთ მას დიდიხნის სიცოცხლეს, ხოლო ჩვენს ნორჩ საქართველოს, რომ მსგავსი აღმზრდელ-მასწავლებელი კვლავაც ბევრი მოვლინებოდეს!!

აქვე ვბეჭდავთ ერთი მისი ხამოწაფარის ლექსს „ბერი ქედანი-“ს

ისმაილის ნათლული

# ბერი ქედანი

(იასონ ლუკას ძე კაპანაძეს)

სუროთი მოსილს მაღალ მუხაზე
ამაყადა ზის ბერი ქედანი
და გადაჰყურებს მინდორ-ჭალებსა
გრძნობით აღსავსე, სამოც წლოვანი!!

ეტრფის მიდამოს, ეალერსება
და თან უგალობს ტკბილად ნანასა;
არ ენაღვლება თუნდაც რო მოკვდეს,
რაკი მოესწრო ამ დრო-ხანასა!..

განვლო ცხოვრების ეკლიანი გზა
და მოიპოვა სასუფეველი;
ახარებს მოხუცს, რომ ველარ დაძრწის
მის საბმობლოში ტურა და მგელი!!

ვით მოფენილი მთისა მწვერვალზე
ახლად შობილი მზისა სხივები,
თავს ევლებიან, გუნდრუკს უკმევენ,
ქება-დიდებით სიყრმის შვილები!..

ოდნავ ვერ აკრთობს მის სპეტაკ გულსა
ჩამოწოლილი შური და მტრობა;
სწამს, რომ სულ მალე ჩაივლის ყველა
და დამყარდება ერთობა, ძმობა!!

ეტი გეწაძე



**იმერეთის ქართული მწიგნობრობის ისტორიიდან**

იმერეთში ჟურნალ გაზეთების გამავრცელებელი ისიდორე კვიცარიძე,—აღწერილი ზ. ჭიჭინაძისაგან, წიგნი გამოვა ცალკე.



ვლასა მგელაძე
მუშა პოლიტიკური მოღვაწე, რევოლიუციის თავდადებული მუშაკი.

# ვლასა მგელაძეს

(ნინო ჩხეიძის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვის გამო).

შენ მართალი სთქვი, რომ საქართველო
აროდეს მონა არ ყოფილაო,—
მხოლოდ დროებით დამარცხებულა
და ტყვეობაში ჩავარდნილაო!

მართლაც ამირანს, თუნდაც დაძლეულს
და საწამებლად კლდეზე მიჯაჭულს,
ვინ იტყვის, ედგა მონის უღელი,
ვინ დაუძახებს მონას გმირს ტანჯულს?

და ერთი მუჭა ქართველი ერიც,
თუმც მოზღვავებულ მტრისგან ძლეულა,
გმირი გმირადვე კვლავ დარჩენილა,—
აროდეს მონად არა ქცეულა!

მონა ის არის, ვინც პირუტყვივით,
მონობის უღელს შეთვისებია
და ბატონის წინ თავაუღებლად
მუცელზე ხოხვას შერიგებია

და არა იგი, ვის გულში ცეცხლი
თავისუფლების მუდამ გზნებულა,
მოუკრებია ძალა და იმის
მოსაპოებლად კვლავ აგზნებულა!

ყარა-უსუფი *) და ალ-რაზაკი,*)
აი მონებად გაჩენილები,
ბესო *), საბა *) და ანანია *)-კი
არიან ტყვენიც ისევ გმირები!..

შენ მართალი სთქვი: ქართველი ერი,
აროდეს მონად არ გარდაქმნილა,—
მხოლოდ დროებით დამარცხებულა
და ტყვეობაში ის ჩავარდნილა!..

**დუტუ მეგრელი**

*) სუმბათაშვილის „ღალატის“ გმირები.



ვასო აბაშიძე
(მისი ახალო მომავალში საღამოს გამართვის გამო.)

იშვიათია ქართველი, რომელიც სიყვარულით და დიდგულობით არა ატარებდეს გულში ვასო აბაშიძის სახელს, მაგრამ იშვიათია ქართველიც რომელმაც კარგათ იცოდეს ამ მცხოვან მსახიობის დიდი ნივთიერი გაჭირვება, რომელიც ადგია დღეს ავადმყოფობასთან ერთად.

მართალია მთავრობამ დაუნიშნა პენსია ორი ათასი მანეთი თვეში, მაგრამ მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს თანხა მცირეა ავადმყოფ და მოხუც მსახიობისათვის.

ვასო აბაშიძე ახალგაზდა აღარ არის, იგი იშხნელივით ვერა, შეჯდება კოზლაზე და მეეტლობას ვერ გასწევს, ვერც თოხნის, ვერც ისპეკულიანტებს და, ყველას საუბედუროთაც, ვეღარც ითამაშებს სცენაზე, რადგან ფეხები ავადმყოფობისაგან დასიებული აქვს და წელშიაც ნამეტნავად მოიკუნტა.

დღეს ვასო აბაშიძე **მშიერია** და ჩვენი საზოგადოების სირცხვილია, რომ საბოგადელნიოდ გავხადოთ ჩვენი თეატრის მედროშე.

ყველაზე მეტი შენიშვნა ქარ. დრამატ. საზ. გამგეობას, რომელმაც სამი წელიწადია პენსია დაუნიშნა და დღესაც კაპიკი არ მიუცია.

იმედია ახალი გამგეობა შეასწორებს ამდენ შეცდომას. ქართველ მსახიობთა კავშირსაც საკმაო თანხა აქვს, რომ მუდმივი დახმარება გაუწიოს თავის მასწავლებელს.

ამას მივუმატებთ ჩვენი საზოგადოების მეტ ყურადღებას და იმედს, რომ უკანასკნელი წელნი ჩვენი თეატრის პრემიერისა ისე ჩატარებულ იქმნას, რომ სამარეში არა ჩაყოლოდეს საყვედური და გულის წყრომა ჩვენდამი.

დავესწროთ მის წარმოდგენას კვირაცხოვლობას და კვლავ მადლობა ვუძღვნათ გენიალურ მსახიობს.

**ქართლ-იმერელი.**

საქართველოს ცენტრ. ლურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის გამგეობა



**კონსტ. ნიკოლოზის-ძე აფხაზი**
ყოფ. მარშალი, საზოგადო მოღვაწე თავმჯდომარის მხანაგია



**პართენ ალექსის-ძე გოთუა**
პუბლიც.-მწერალი და საზოგადო-საბანკო მოღვაწე, გამგეობის თავმჯდომარე



**ნიკ. ყარამანის-ძე თავდგირიძე**
მწერალი და საზოგადო-საბანკო მოღვაწე, თავმჯდომარის ამხანაგი

(ცენტრო ბანკის მოქმედების დაწყების გამო ა. წ. მარტის 24)

# დედადაკაცის ათას ერთი ოინი

**აღმოსავლეთის კომედია 1 მოქ.**

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:

**ფატმა** — ჰუსეინის მეუღლე, ახალგაზდა ქალი
**ჰუსეინ** — მისი ქმარი, კარგად შენახული მოხუცი, ვაჭარი
**სულეიმან** — მსახური, მოხუცი, მახინჯი
**ხაფიზ** — ახალგაზდა კაცი

მოქმედება ალჟირში, ჰუსეინის სახლში. ოთახი მოწყობილია მავრიტანულ სტილზე. სცენის სიღრმეში კარი ფერადი ფარდით. მარცხნივ კარები. მარჯვნით ფანჯარა რკინის ცხრილით. კედელზე ხალი. ხალზე—ძველებური ხმალი და დამბაჩა. კუთხეში მაგიდა შემოქსოვილი ბოთლბაკლებით. ერთ-ერთ მხარეს დიდი სკივრი. სკივრზე ჰყრია: ქალის წამოსასხამი და ჩადრი. ოთახი მოგებულია ხალიჩებით· დივანი, პატარა მაგიდები, ფერადი ბალიშები. ჩანგურის მსგავსი საკრავი.

I **სულეიმან და ჰუსეინ**

**სულ.** (სძინავს იატაკზე ფანჯარასთან)

**ჰუს.** (კულისებში) სულეიმან, ა, სულეიმან! შე ზარმაცო ძაღლო, სად არის შენი ქალბატონი? სად დაიკარგე შე მახინჯო ჯორო, შენა! (შედის, ხელში სქელი წიგნი უკავია და შესვლისთანავე დასდებს მაგიდაზე, ფატმას დაეძებს) ფატმა, ა, ფატმა! არა, არა სახლში ყოფილა, აი, მისი ჩადრიც (ჩადრის აღებისას სულეიმანს შენიშნავს და ფეხს წაჰკრავს, სულეიმან ზარმაცათ წამოდგება) შენ ისევა გძინავს? სად არის შენი ქალბატონი-მეთქი? შე ზარმაცო, ქოფაკო ძაღლო!

**სულ.** (ზარმაცად) აი, იქ არის, ბატონო! (მიუთითებს მარცხნივ)

**ჰუს.** რას აკეთებს?

**სულ.** რას აკეთებს? ფრჩხილებს იმშვენებს, ანდა თვალ-წარბს ილამაზებს, სხვა რა უნდა აკეთოს?

**ჰუს.** ფრჩხილებს იმშვენებს?! თვალ-წარბს ილამაზებს?! ჰმ... მომაწოდე ჩემი წიგნი, სულეიმან! აქ რაღაცა ეშმაკობაა. ერთი ჩავიხედო, გავიგო, რას ნიშნავს ასეთი მზადება. (ადის დივანზე და ფეხს იკეცავს, სულეიმან დაუდევრად აიღებს წიგნს და უპატივცემულოდ მიაწოდებს; ჰუსეინ გამოგლეჯს ხელიდან წიგნს და მკაცრად) რამდენჯერ მითქვამს შენთვის, შე ბერო აქლემო, რომ პატივის ცემით და მოწიწებით უნდა მოეპყრო ამ წიგნს-მეთქი (მიიკრავს წიგნს გულზე, მერე აკოცებს და მოწიწებით გადაშლის) ვნახოთ, ვნახოთ რას ნიშნავს ფატმას ასეთი მზადება... ვიპოვე, ვიპოვე! (კითხულობს): „დედაკაცი მეომარსა ჰგავს; როდესაც მეომარი იარაღის წმენდას შეუდგება ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საომრად ემზადება; დედაკაცი კი როდესაც ფრჩხილების და თვალ-წარბის გალამაზებას, უფრთხილდი მეუღლევ, ის შენი ღალატისათვის ემზადება.“ (სწრაფად დახურავს წიგნს, აკოცებს და გულზე მიიდებს) გესმის, სულეიმან, შე ბერო ჯორო, შენა, თუ რა ყოფილა ეს წიგნი. ამ წიგნს არაფერი დაემალება. ამაში მოხსენებულია დედაკაცის ათას ერთი ოინი.

**სულ.** (ხალხისაკენ) ფატმასათვის ეგ წვეთია ზღვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჰუს**. (განაგრძობს) დიაღ, ბერო მაიმუნო, ხანში შესულ ქმრისათვის ეს წიგნი კი არა, ნამდვილი განძია, განძი. სანამ ეს წიგნი ხელთა მაქვს, ფატმა ვერ გამაცურებს, ვერაფერში მომატყუებს. (ეალერსება წიგნს).

II იგინივე და **ფატმა**

**ფატ**. (ხელით გადასწევს კარების ფარდას, შეჩერდება ადმასვლეთის ჭარემის მოდაზე საუცხოვოდ ჩაცმული) ჩემო სიცოცხლევ!

**ჰუს**. (მოუბრუნდება) ჩემო თვალის სინათლევ!

**სულ**. (გადის)

**ფატ**. (მივა ჰუსეინთან) რა გიპყრია ხელთ, ჩემო ხელმწიფევ?

**ჰუს**. წიგნი.

**ფატ**. გადადევ განზე, თავი დაანებე!

**ჰუს**. რატომ?

**ფატ**. იმიტომ რომ მე შენთანა ვარ, ჩემო თვალის სინათლევ! (მივა მასთან, ლოგინზე ჩამოჯდება და ყელს შემოეხვევა ტიტველ მკლავებით, რომლის სამაჯურების პაწაწა ზარები მელოდიურად წკრიალებს)

**ჰუს**. საბუთი ჩინებულია (ახედ-დახედავს ფატმას) ფატმა, რა მშვენიერი ხარ!

**ფატ**. გაიმეორე ეგ შენის თვალებით, ჩემო ხელმწიფევ!

**ჰუს**. (ეშმაკურად) მუდმივ ირთვები, ფატმა. რაში დაგჭირდა ასეთი მზადება, ხომ არა გსურს ვინმეს მოეწონო?

**ფატ**. მე მსურს მხოლოდ შენ, შენ მოგწონდე ჩემო ბატონი! დაე, ვიყვე ყველასთვის უშნო-მახინჯი, დაე, ყველას ქაჯივით ვეჩვენებოდე, ოღონდ კი შენ, შენთვის ვიყვე, ჩემო ხელმწიფევ, მუდამ მშვენიერ-ლამაზი!

**ჰუს**. (საჩქაროდ ჩაიხედავს წიგნში და კითხულობს) როდესაც დედაკაცი გარწმუნებს, რომ მას სურს მხოლოდ... დიაღ, დიაღ... (ფატმას ალერსით, მაგრამ ეშმაკურად) ფატმა, ერთი ეს მითხარი სად იყავი დღეს?

**ფატ**. დღეს? არსად!

**ჰუს**. როგორ, განა დღეს საბანაოდ არ ყოფილხარ?

**ფატ**. საბანაოდ? როგორ არა, ვიყავი!

**ჰუს**. ვინ ინახულე, ვის შეხვდი იქ?

**ფატ**. იქ, ძალიან ბევრს: რუსთემის ცოლს, ახმედის ცოლს და ერთი სიტყვით ყველა ჩვენს ნაცნობ ქალს.

**ჰუს**. რასაკვირველია ბევრი ილაზღანდარეთ, ჰა! ეს ხომ დედაკაცთათვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

**ფატ**. რა თქმა უნდა, ჩემო ხელმწიფევ, დედაკაცთ სხვა რა დაგვრჩენია, განა უმაგისოთ შეგვიძლია ცხოვრება.

**ჰუს**. ვიზე ლაპარაკობდით, ვის აქებდით-კიცხავდით?

**ფატ**. ვიზე უნდა გველაპარაკა, თუ არა ისევ ჩვენს ქმრებზე.

**ჰუს**. როგორ თუ ვიზე, განა შეუძლებელია სატრფოზე ლაპარაკი?

**ფატ** სატრფო იგივე ქმარი არ არის, სად შეშვენის ქმრიან დედაკაცს სატრფოზე ლაპარაკი!

**ჰუს**. ეეე! არა, არა... ეშმაკობს, ცბიერობს. (საჩქარო ჩახედავს წიგნში).

**ფატ**. რას ეძებ მაგ წიგნში, ჩემო ხელმწიფევ!

**ჰუს**. არაფერს... მაშ, ასე, ქმრებზე ლაპარაკობდით, ჰა! უბედურო ქმრებო!.. მერე ვინ იცის, რამდენი გვლანძღეთ!

**ფატ**. სულ არ გცოდნია, ჩემო ბატონო, დედაკაცების ამბავი. განა რომელიმე მათგანი დედაკაცთ შორის ცუდ რასმეს იტყვის ქმრის შესახებ?

**ჰუს**. ეშმაკობს, ცბიერობს... (საჩქაროდ წიგნში ჩაიხედავს) რასაკვირველია, რა თქმა უნდა, შენ მართალი ხარ. სად გაგონილა... (კითხულობს). როდესაც ცოლი ქორწინების ერთი თვის შემდეგ... (ფატმას) მაშ აქებდით, ჰა? თვითეული თქვენთაგანი თავის ქმრის ქებაში იყო, ჰა? აი, მაგალითად, შენ რა ილაპარაკე ჩემზე (ფატმა შეხედავს ქმარს და თავს ჩაღუნავს) როგორ? არაფერი? ნუ თუ ჩემს შესახებ კარგი ვერაფერი სთქვი?

**ფატ**. ზედმეტად მიმაჩნია შენი ქება, ჩემო ხელმწიფევ! არის განა ვინმე რომ არ გიცნობდეს? შენთვის არ არის, რომ გამოჩნდები ქუჩაზედ თუ არა, სახლთა ფანჯრები დედაკაცებით გაიჭედება და შენის ცქერით ვერ გამძლარან? მე ხომ შურით ლამის არის შემჭამონ, რაში მჭირია შენი ქება, აბა მითხარი! (გადაეხვევა).

**ჰუს**. (გაუსხლტება ხელიდან) ეშმაკობს, ფარისევლობს... მეოთხე განყოფილება ფარისევლობა (გაჩქარებულ ფურცლავს წიგნსა) დიახ, დიახ, რაღაც ახალ ამბავს, მოულოდნელ ამბავს მიმზადებს, ჰუსეინ! გაახილე თვალები, ფრთხილად, არ შეგაცდინოს!! ეს დედაკაცი კი არა, აფთარია, აფთარი, ნამდვილი ქაჯი... მაშ, შენ ბედნიერი, კმაყოფილი ხარ შენის ცხოვრებით? არავითარი განსაკუთრებული სურვილები არ გრჩება დაუკმაყოფილებელი? (ფატმა შეხედავს და ამოიოხრებს) რა იყო, რა გაწუხებს?

**ფატ**. არაფერი, ერთი რამ მომაგონდა!

**ჰუს**. რა?

**ფატ**. მომაგონდა რუსთემის ცოლი.

**ჰუს**. რაღა ის მოგაგონდა, რა იყო?

**ფატ**. ცუდი დედაკაცია, ტრაბახი; იმის ტრაბახს დღეს საზღვარი არ ქონდა. (გამოაჯავრებს) „ჩემი ქმარი უმდიდრესი და უუხვესი კაცია მთელ ალჟირში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემმა ქმარმა ოქროს ისეთი ძეწკვი მაჩუქა, რომ მისი ბადალი მთელ ალჟირში არ იშოვება-ო“ სთქვა ესა და მეც ავტირდი.

**ჰუს.** მერე და შენ რა გატირებდა?

**ფატ.** ისა, რომ სტყუის. ახალ ბაზარზე ოქრომჭედელ ჰასანთან მე ჩემის თვალით დავინახე სწორეთ ისეთი ძეწკვი.

**ჰუს.** კარგი, ძეწკვის შესახებ სიცრუე უთქვამს, მარა ის ხომ მართალია, რომ მისი ქმარი მთელ ალჟირში უმდიდრესი და უუხვესი კაცია.

**ფატ.** დიახაც რომ არა, სიცრუეა, სიცრუევ! არავის დაუჯერია! ყველამ კარგათ იცის, რომ ჰუსეინაზე უუხვესი არავინ არის (ეხვევა)

**ჰუს.** მაშ, ძალიან გინდა შეიძინო ის ძეწკვი, ჰა?

**ფატ.** მე? სრულიადაც არა. თუმცა კი მინდა, მაგრამ მხოლოთ იმისთვის, რომ რუსთემის ცოლმა თავი დაანებოს ტრაბახს.

**ჰუს** სულ ერთი არ არის, თვით შენ იძახი, რომ მისთვის არავის დაუჯერია.

**ფატ.** კი, მარა ცოტაა მოსულელო, რომ დაიჯეროს?

**ჰუს.** მერე და შენ რა გაქვს მასთან საერთო? (გადიხარხარებს) ხა, ხა, ხა ..

**ფატ.** (გაოცებული) რა გაცინებს?

**ჰუს.** ისა, რომ აქ (წიგნს დახურავს და ხელს დაჰკრავს) ყველაფერია ნათქვამი, ყველაფერი! აი, დამიგდე ყური; „186-ქვსე ოინი“ როდესაც ახალგაზრდა ცოლი ქორწინების ერთი თვის შემდეგ თავის მოხ... ქმარს ეალერსება და ქება-დიდებას ასხავს, უფრთხილდი, უფრთხილდი მეუღლევ, იცოდე, რომ ის შენს ჯიბეზე თავდასხმას აწყობს, ხა, ხა, ხა ხა...

**ფატ.** (შეურაცხყოფილი) საძაგელი წიგნი! (წაართმევს წიგნს) მე უბრძანებ სულეიმანს ეს წიგნი ეხლავე დასწვას.

**ჰუს.** (წაართმევს წიგნს) გაგიჟდი, თუ რა დაგემართა დედაკაცო! გეფიცები ალლაჰს, მარჯვენას წავიკვეთ, ან მარცხენა თვალს ამოვითხრი და ამ წიგნს კი ვერ გაგეყრები. შენ იცი რა ჰქვია ამ წიგნს? „დედაკაცის ათას ერთი გესმის: ათას ერთი! (ფატმა გულმოსული მოსცილდება და ცალკე ჩამოჯდება) ამაში ყველაფერია ნათქვამი, ყველაფერი! (ითვლის თითებზე) ეშმაკობა, ოინები, ბოროტება, სიცრუე, თვალთმოქცობა, გაიძვერობა, ვირ-ეშმაკობა და მრავალი სხვა... რამ დაგალონა? შენ ხომ ჩემი მოტყუება არ გინდა, მაშ რად გაშინებს შენ ეს წიგნი! შენ ხომ მხოლოდ იმას ფიქრობ და ცდილობ, რომ მე მომწონდე! (ფატმა ზურგს შეაქცევს) ოჰ, ფატმა, რომ იცოდე რა საუცხოვო წიგნია, ეს წიგნი! როგორც კი მომეხვიე, მაშინათვე ჩავიხედე და მივხვდი, რომ შენ ჩემს ფულის ქისაზე თავდასხმას აწყობ... მაშ, ძალიან მოგწონს შენ ის ძეწკვი? (ფატმა ნიშნათ თანხმობის თავს უქნევს) ძალიან?

**ფატ** მე უკვე გითხარი, სრულიადაც არ მომწონს, მაგრამ მეც მინდა მქონდეს ისეთი ძეწკვი და მით ჩავაჩუმო რუსთემის ტრაბახა ცოლი.

**ჰუს** მაშ, ისე კი არა გსურს, რომ გქონდეს, ჰა?

**ფატ.** (ეშმაკურად) სრულიადაც არა, რა თავში ვიხლი? მე ჩემს ბატონს ისედაც ვუყვარვარ და მეტი რა მინდა, რაში მჭირია?

**ჰუს.** (ძალზე ხარხარებს) გეფიცები ალლაჰს, მე რომ ეს წიგნი არ მქონოდა, შენ ისეთი ეშმაკი ხარ, დღე არ გავიდოდა არ შეგეცდინე! — დამიგდე ყური, ფატმა, მოდი მომიგე მე შენ ის ძეწკვი, რომელიც არ გჭირია და გინდა კი გქონდეს.

**ფატ.** რა ვითამაშო? გსურს კამათელი. მგონი მოვიგებ!

**ჰუს.** (გახარებული) არა, გნებავს „აბდალლუ“?

**ფატ.** (გულ მოსული, მარა დაინტერესებული) „აბდალლუ“? პირველად მესმის! რა თამაშია!

**ჰუს.** ძალიან მარტივი და ადვილი. ყური დამიგდე: როდესაც ჩემგან რაიმე ნივთს მიიღებ, უნდა დაიძახო: „აბდალლა“, აგრეთვე მეც, და თუ ვერ მოვასწარი „აბდალას“ დაძახება, წავაგებ და შენ კი მიიღებ იმ ძეწკვს, რომელიც შენ ძალიან გინდა.

**ფატ.** რაც არ უნდა მოგცე, შენ უნდა „აბდალლა“ დაიძახო?

**ჰუს.** ყველაფერზე როცა რაიმეს მომცემ!

**ფატ.** რომ ვერ მოასწრო?

**ჰუს.** წავაგებ და შენ ძეწკვს მიიღებ!

**ფატ.** (წამოიჭრება გახარებული) მე თანახმა ვარ!

**ჰუს.** ძალიან კარგი. ახლა კი დუქანში წავალ, დავხედავ რას აკეთებს ახმედ, ის ზარმაცი ძაღლი, ისა! სულეიმან! ალბათ ისევ ჩამოეძინა სადმე იმ ბერ აქლემს. ძალიან დარაჯი არა გვყავს, მას სძინავს და კარებები კი დაღებულია. მოდი და შემოვიდა ვინმე, მერე! სულეიმან, ა, სულეიმან!...

**ფატ.** (ალერსით) ტანის ჩაცმაზე მოგეხმარები, ჩემო ხელმწიფევ! (მიაწოდებს სარტყელს, ჰუსეინ ჩამოართმევს და რაც ძალა და ღონე აქვს ყვირის: „აბდალლა“ მერე გულ ხარხარებს, ფატმა ყურადღებას არ აქცევს) ნება მიბოძე ჩემო ბატონო, სარტყელი გაგისწორო! იქნებ, ჩემო ხელმწიფევ, ღონის მოსაკრებად ერთ ჭიქა ცივ წყალს მიირთმევ? (უსხამს წყალს)

**ჰუს.** სიამოვნებით, ჩემო სიცოცხლევ!

**ფატ.** (მიაწოდებს ჭიქას) ინებე, ჩემო ბატონო!

**ჰუს.** რა ნაზი და გულშემატკივარია ჩემი თვალის სინათლე! (ჩამოართმევს ჭიქას და დრიალებს) „აბდალლა,“ ხა, ხა, ხა, ხა...

**ფატ.** (ადუღდება ემჩნევა) რა სისულელეა, რა გაცინებს?

**ჰუს.** ხა, ხა, ხა...

**ფატ.** ნუ თუ გგონია შენი მოტყუილება მინდა, აზრადაც არ მომსვლია, ეს მე ხვალ დილისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



გადავდე, არა არც ხვალისათვის, ასე ადრე შეუძლებელია რომელიმეს შეცდომაში შეყვანა.

**ჰუს.** მაშ, შენ იმედი გაქვს ოდესმე მომიგო, მომატყუო, ჰა? არასოდეს, ამას შენ ვერ მოესწრები. აბა, რას ვამბობ, არა, არა, შენ მაინც ეცადე, იქნებ გამოდნეს რამე. აი მე მივდივარ, შენ მარტოთ რჩები, თავისუფალი დრო ბევრი გექნება, დაფიქრდი, მოიგონე რამე, რომ უკეთ და ადრე მომიგო.

**ფატ.** აბა, რას ამბობ, ჩემო ხელმწიფევ, უშენოთ ამ სისულელეზე რა დამაფიქრებს? მე მხოლოდ შენზე, შენზე ვიფიქრებ, ჩემო სიცოცხლევ!

**ჰუს.** ე?

**ფატ.** (ორივე ხელებით ყელს შემოეხვევა და ნაზათ) ალლაჰ იყოს შენი მფარველი, ჩემო ხელმწიფევ! მიიღე ჩემი კოცნა, ჩემო სიცოცხლევ!

**ჰუს.** სიამოვნებით, ჩემო თვალის სინათლევ! (ჰკოცნის და უგირის) „აბდალლა“... ხა, ხა, ხა, ხა, ხა,

**ფატ.** (გულმოსული მოშორდება) ოოო!..

**ჰუს.** ამ წიგნში ყველაფერია ნათქვამი, ყველაფერი! არც ეშმაკური კოცნაა დავიწყებული, აი, მე-14-ტე გვერდზე ზევით!

**ფატ.** დაწყევლილი, შეჩვენებული წიგნი! (გამოგლეჯს ხელიდან და ზურგს უკან დამალავს) ამას შენ ველარ მიიღებ, დავგლეჯ, დავწვავ!

**ჰუს.** (სერიოზულად) ფატმა! მომეცი ეგ წიგნი!

**ფატ.** დავწვავ-მეთქი!

**ჰუს.** არ გაბედო. მომეცი-მეთქი ჩემი წიგნი!

**ფატ.** არასოდეს.

**ჰუს.** (მიუხვდება ეშმაკობას) დიალ, დიალ... არა, არ მინდა, მერე იყოს, მე რომ წავალ ე მანდ დადევი მაგიდაზე! (წასვლას აპირებს, შეჩერდება კარებში) ცოტა ღა მაკლდა, კინალამ არ მომიგე, მარა არც ეს შემთხვევა დავიწყებული! (სიცილით გადის)

III **ფატმა**, მერე **სულეიმან**

**ფატ.** ეს შეჩვენებული წიგნი (ისვრის იატაკზე და ფეხებით სრესს, ცალი წუდა ფეხზე წამოსძვრება; შემოდის სულეიმან)

**სულ.** ხაფიზ გიახლათ, ფანჯარასთანაა!

**ფატ.** (მიირბენს) სად არის?

**სულ.** იქ აღარ იქნება, დერეფანში შემოვიდოდა!

**ფატ.** რად არ უთხარი შემოსულიყო?

**სულ.** აი, კიდევაც მობრძანდა!

IV იგინივე და **ხაფიზ**

**ხაფ.** (გადაუგდებს სულეიმანს ფულს) წადი იძინე, მოხუცო!

**სულ.** რა საჭიროა ბატონო, ძილს არც ისე ვიკლებ! (აიღებს და გადის)

**ხაფ.** ფატმა! (მიაშურებს)

**ფატ.** (დივანზე ჩამოჯდება) მომაწოდე წუღა! ჩამაცვი ფეხზე! (ხაფიზ დაიჩოქებს და დიდხანს აცმევს) როგორ მოგწონს, ხაფიზ, ეგ ფეხი, ჰა?

**ხაფ.** ძალიან, ფატმა, ქრუანტელი მივლის, ასეთი მეორე მთელ ალჟირში არ მოიპოვება.

**ფატ.** ეს რიღათია ნაკლები? (იძრობს მეორეს)

**ხაფ.** ეგ ხომ ამის ცალია! (ჩააცმევს, ჩამოჯდება მის გვერდით, უნდა მოხვიოს ხელი, მარა ფატმა გაუსხლტება)

**ფატ.** ხაფიზ, რატომ არ მოგწონს რუსთემის ცოლი? იგი ხომ მჯობნის თვის შავ თვალებით!

**ხაფ.** შენი თვალები უშავესია.

**ფატ.** გალობითაც ხომ უკეთა გალობს?

**ხაფ.** მისი ხმა ვირის ყროყინს ჩამოგავს, შენი კი ბულბულის საამურ სტვენას.

**ფატ.** (ჩადრს წამოისხამს) ხაფიზ, შენთვის საკმარისი ყოფილა მხოლოდ ჩემი თვალები, შენ მეუბნები, რომ მხოლოდ ჩემი თვალები მოგწონს.

**ხაფ.** შენი თვალები ვითა ვარსკვლავნი ანათებენ უდაბნოსა შინა, მე შენ მთლად მომწონხარ, ფატმა, მიყვარხარ მთელის არსებით (გაუშურება მისკენ. ფატმა გაუსხლტება. ხაფიზი ცდილობს ჩადრი მოაცილოს. ფატმა არ ემორჩილება. ფატმას სირბილი თანდათან ცეკვა-თამაშში გადადის. ხაფიზ აიღებს ჩონგურს და ფატმას მოძრაობას შეუფარდებს აკომპანიმენტს. ფატმას ცეკვას და და ხაფიზის ჩონგურს ბანს აძლევს ფატმას სამაჯურების პაწაწა ზარების წკრიალი)

V **ფატმა, ხაფიზ** და **ჰუსეინ**

**ჰუს.** (კულისებში) სულეიმან, ა, სულეიმან, შე ზარმაცო ძაღლო, სად დაიკარგე, რატო კარებთან არა ხარ?

**ფატ.** ჩემი ქმარი... აღარ წასულა დუქანში!.. რაღა ვქნა ეხლა!..

**ხაფ.** (წამოიჭრება, ჩანგურს ხელიდან გააგდებს, ხმალს ეცემა)

**ფატ.** სსს! მოიცა, მოიცა! შენ აი, აქ, ამ სკივრში უნდა ჩაჯდე! (ასწევს სახურავს)

**ხაფ.** არაფრის გულისათვის.

**ფატ.** ერთად ერთი გამოსავალია, სხვა გზა არ არის!

**ჰუს.** (კულისებში) ეს ვინ არის? ჰასან, შენა ხარ? აქ მოდი ჩემთან! დღეს მხოლოდ შენზე გვქონდა ლაპარაკი.

**ხაფ** ის ვილაცას შეხვდა კარებთან!

**ფატ.** ოქრომჭედელია, ოქრომჭედელი, ნუ გეშინია, ჩადი-მეთქი, მალე! აქეთ მოდიან! ჩაჯექ და ხმა, კრინტი არ ამოიღო, რაც უნდა გაიგო, გესმის? (სწრაფად გადაეხვევა) აბა, მალე, მენდე და ხმა, კრინტი-მეთქი, გესმის?

**ხაფ.** მესმის, ფატმა!

**ფატ.** (დახურავს სახურავს, დაკეტავს დიდი გასაღებით და იღიმება) გახსოვდეს, რაც უნდა გაიგო, არაფერი სთქვა. (სწრაფად გადადის მარჯვნით, მიუბრუნდება კარებს, ხელებს გულზე დაიკრებს, მოიწყენს და გაქვავდება)

**ჰუს.** (კულისებში გაცოფებული) რაო, 50 ოქრო? მერე და უჩემოდ როგორ გაბედა! (შედის მთლად გაწითლებული, დორბლებსა ჰყრის, ხელთ დიდი ოქროს ძეწკვი უკავია) ყური დამიგდე, ფატმა! როგორ გაბედე ჩემ დაუკითხავათ უბძანე და ჰასანს აქ მოატანინე ეს ძეწკვი? რატომ არაფერი მითხარი? შენ გეგონა მოტანისთანავე დაუთვლიდი 50 ოქროს? არა ჩემო კარგო, ვერ მოგართვი! ჯერ შეგესრულებია დადებული პირობა, მოგეგო და მერე მე თვითონ მოგიტანდი, არა და ტყუილად შეწუხებულხარ; არა, ჩემი გაცურება არც ისე ადვილია შენ რომ გგონია სანამ ხელთა მაქვს მე ჩემი წიგნი.

**ფატ.** (ამაყად და მკაცრად) შენ. ჰუსეინ, მხოლოდ ოქროზე ფიქრობ და ზრუნავ, სხვა აღარაფერი გახსოვს, ისა სჯობია უპატრონო შენს ლამაზ ცოლსა და ოჯახის პატიოსნება დაიცვა!

**ჰუს.** ჰა, რაო? ჩემი ოჯახის პატიოსნება?

**ფატ.** შენ ხომ მარტო დამტოვე და დარაჯათ მძინარა სულეიმან მომიჩინე?

**ჰუს.** ალაჰს გაფიცებ, რაშია საქმე, ხომ არავინ შემოგივარდა? (ფატმა დაუშვებს ხელებს, თავს უქნევს ნიშნათ თანხმობისა და ძალზე ამოიხრებს) მამაკაცი!? გიაური? უცხო გვარ-ტომის? (ოქროს ძეწკვს სარტყელში ინახავს, გულურივით მიმოიხედავს, ტაშს შემოჰკრავს) გაფიცებ მაჰმადის წვერსა, მართალი მითხარი, დაუძახე თუ არა ვინმეს საშველად?

**ფატ** ვინ უნდა დამეძახა? სულეიმან, რომელსაც ერთთავად სძინავს?

**ჰუს.** ხომ გააგდე, ხომ არ დაუწყე შენ მას ბაასი, ხომ შეაშინე?

**ფატ.** თუ შევაშინე?! რა ძალა მქონდა?

**ჰუს.** რა მემართება! . რა ამბავია ჩემს თავს!.. გაფიცებ მაჰმადის წვერსა, მართალი მითხარი, ხომ არ დაგიწყო მან არშიყობა?

**ფატ.** ხელი მტაცა, გულში ჩამიკრა, მისი ტუჩებით ტუჩებში ჩამეკონა, აღარ მომცილდა!

**ჰუს.** საძაგელო დიაცო! ის ძაღლი, ისა! და მერე შენც საშუალება მიეცი გაქცეულიყო, ჰა? უნდა ჩასჭიდოდი ფრჩხილებით და კბილებით არსად გაგეშვა! მაშ, გამექცა, გაიქცა ის ძაღლი, ისა?

**ფატ.** (პათეტიურად) არა, არ გაქცეულა, ვერსად წავიდა!

**ჰუს.** როგორ? რაო?

**ფატ.** რომ ჩავჭიდოდი ფრჩხილებით და კბილებით, რა შემეძლო სუსტ დედაკაცსა? მე ხერხი, ხერხი ვიხმარე და, აი, აქა მყავს, აი, აქ, ამ სკივრში!

**ჰუს.** სკივრში რა უნდა?

**ფატ.** მოტყვილებით ჩავსვი, ჩემო ხელმწიფევ!

**ჰუს.** ა ა-ა! მაშ ის აქ არის, დამწყვდეული აი, აქ, ამ სკივრში!?

**ფატ.** (გასაღებს აწვდის) აი, გამომართვი ეს გასაღები და მაგიერი გადაუხადე, ჩემო პატრონო, ჩვენი ოჯახის შერცხვენისათვის!

**ჰუს.** (გაცოფებული გამოგლეჯს ხელიდან გასაღებს, ჩამოიღებს ხმალს, მივარდება სკივრს, მაგრა წინ ფატმა გადაეღობება)

**ფატ.** ძეწკვი, ჩემი ძეწკვი, არ დაივიწყო ჩემი ძეწკვი, ძეწკვი მოგიგე! (მიაშვერებს ჰუსეინის ქამარს ძეწკვის ამოსაღებად)

**ჰუს.** (დაიბნევა) დედაკაცო, ხომ არ გაგიჟდი, რა დაგემართა, რომელი ძეწკვი?

**ფატ** დაგავიწყდა „აბდალა“, რომ ჩამომართვი გასაღები რათ არ იყვირე: ,,აბდალა‘‘

**ჰუს.** (ხელიდან გააგდებს გასაღებს, ხმალს და თავში ირტყამს) შე, ბერო ვირო!.. (შეხედავს ფატმას) მაშ ეს ყველაფერი ძეწკვისათვის მომიწყვე?!.. (თავში იცემს) შე ბერო ჯორო! რას უჯეროდი სისულელესა, როგორ ვიფიქრე და როგორ შევცდი?!. მოდი წაიღე ეს შენი ძეწკვი! (ფატმა ჩამოართმევს, გახარებული ტრიალებს და კისერზე იზომავს) წავალ, წავყვები ოქრომჭედელსა, დავახურდავებ ფულს და მივაშავებ მის 50 ოქროს. არა დღეც არ გასულა, როგორ წავაგე ,,აბდალა‘‘ მე ვირმა, ასე! (გასვლისას იატაკზე შეამჩნევს თავის წიგნს, ფეხს ჰკრავს და განზე ისვრის)

**ფატ.** ჩემო ბატონო, ასე ეპყრობი შენს ძვირფასს წიგნსა, რომელსაც ,,ათას ერთი ოინი‘‘ ეწოდება. ,

**ჰუს.** (შეჩერდება კარებში, მოუბრუნდება) შეგიძლია დასწვა. სულელია მაგის დამწერი, უსულელესი მაგის მყიდველი. რად მინდა ,,ათას ერთი ეშმაკობა‘‘, როდესაც შენ ათას მეორე მომიწყვე. (გადის)

**ფატ.** (მიაშვერებს სკივრს) არა ნაკლებია ათას მესამეც, ამას მერე შეიტყობ.

ფ ა რ დ ა

გად. **სოსო მელიქიშვილი**



ეროვნული
ბიბლიოთეკა






**სახელმწიფო თეატრში** ორშ., მარტის 22-ს, საოპერო დასმა ნ. პ. კოშიცის საბენეფისოთ დასდგა დ. პუჩინის ოპერა „ტოსკა“ ეს ოპერა ახალი არ არის: მრავალჯერ უნახავს თბ. საზოგადოებას, გამოჩენილი მომღერლებით და დამტკბარა კიდეც. „ტოსკა“ მეტის-მეტი რთული ოპერაა და მაშინაა მოსახიბლავი, როცა ალმას რულებელნი შეგნებულათ ანსახიერებენ ასახულ ტიპებს. შეგნებულად და მხატვრულად დაგვიხატა ტოსკა ნ. პ. კოშიცმა. მან თავისი ტკბილი ხმით და მოხდენილი თამაშით მოაჯადოვა დამსწრე საზოგადოება.

ქ-ტონ კოშიცს მხარს უმშვენებდა ბ-ი სარაჯიშვილი. იგი მხატვარ მარიო კავარდოსსის ტიპიური გამომსახველი იყო. ბ. სარაჯიშვილის გრძნობიარე სიმღერამ ალტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. კარგი ბარონ სკარპია იყო ბ. ინაშვილი. ბ. ინაშვილი ნიჭიერი და შეგნებული მომღერალია და შეგნებულათაც ჩაატარა ბ. სკარპიას როლი. დანარჩენებიც შეძლების დაგვარად. ანსამბლს ხელს უწყობდენ. ხალხი ბლომად დაესწრო. მობენეფისეს მიართვეს მრავალი საჩუქარი. **ტენორი**

— —

**გვარდიის თეატრში** განახლდა წარმოდგენები. მარტის 22, დაიდგა შ. დადიანის „შენი ჭირიმე“ და გ. გუნიას „უბედური დღე“. აქაურ სცენის მუშაკთ ბევრს ვერ მოვთხოვთ, რადგანაც დეკორაციების მხრივ სცენა ცუდ მდგომარეობაშია. პიესაში მონაწილეობდენ ქ-ნი ნინონი, ჩარკვიანი და N. ბ-ნი დ. აბდუშელი ი. ჯულჯული, კ. კრავეიშვილი, ლეკიშვილი, მოსკოველი, კოშკაძე და სხ. ზოგიერთნი ვერ გრძნობდენ თავს შესაფერს როლში, რომელსაც მომავლისთვის რეჟისორმა ყურადღება უნდა მიაქციოს. მაგ. ბურდულის როლი არ შეეფერებოდა ლეკიშვილის; კომედიაც ძალიან გაფერმკრთალდა მოსკოველის თავისებური მიმიკით, რომელიც საერთოდ სცენას არ შეეფერება. დ. აბდუშელი ზოგჯერ გამოთქმაში მოისუსტებდა. საერთოდ არა უშავდა.

ვუსურვებთ წრეს მომავალში უფრო ენერგიულ მუშაობას და ყოველი შეცდომის აცილებას. **იგი**

— —

**ფოთის** დრამატ. წრემ მარტის 17 დამსახურებულ მსახიობს სტ. ხარაზაშვილს გაუმართა 30 წ. მოღვაწეობის იუბილე. საზოგადოება ბლომათ დაესწრო. პიესამ გარგათ ჩაიარა. შეუდარებელი იყო თვით იუბილიარი სიმამრის როლში.

შემდეგ გაიმართა მილოცვები და მისალმებანი. სიხარულით უნდა აღვნიშნოთ საზოგადოების ენტუზიაზმი. სჩანს სტეპკოს მუშაობას ქ. ფოთში, სადაც იშვიათი სტუმარია ქუთაისისა თუ თბილისის დასი, ფუჭად არ ჩაუვლია, გაუღვივებია დემოკრატიის გულში პატივისცემა ხელოვნებისადმი და თვითცნობიერების გზაზე ფეხ ამდგარმა ღირსეულად დააფასა მელპომენის წმიდა ტაძარში 30 წ. ქურუმ-მლოცველი. დიახ, სტ. ხარაზაშვილმა თავის სიცოცხლის საუკეთესო დღეები პროვინციის სცენას შეალია. ვინ იცის რაოდენი გაჭირვება და დამცირება არ გადაიტანა მან ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ერთხელაც არ დაღონებულა, გული არ გასტეხია და დღემდის დაუღალავად ემსახურება თეატრის საქმესა ჭეშმარიტად, რომ ასეთ მუშათა ღვაწლი დაუფასებელია პროვინციისათვის, სადაც კულტურული მუშაობა ეხლაც კი ვერ არის სასურველად მოწესრიგებული. **ბ. პ – ლი**

— —

**ბორჯომში** (ჩარხის წყალი) ა. წ. მარტის 17 შესდგა სასწრაფო კრება მუშათა პროფეს. კავშირის პრეზიდიუმისა. დღის წესრიგში იყო: 1) მარტის 19 დემონსტრაციის მოწყობა მიტინგით ადგილობრივ (ჩარხის წყალზე) და სუმბათოვოში. 2) ტიგიშვილის საქმე, 3) ხოროს მოწყობა სუმბათოვოში.

პირველი ორი საკითხის გადაწყვეტის შემდეგ მოისმინეს ახალ დაბის (სუმბათოვოს) მუშების განცხადება: ჩვენს მუშებში ბევრი მსურველია ხოროს მოწყობისა და ამიტომ გთხოვთ ჩვენც გამოგვიგზავნოთ კვირაში, რამდენჯერაც შესძლებს ბორჯომის პროფ. კავშირი, მუშათა გუნდის ლოტბარი ილ. გოძიაშვილი რათა აქაც მოგვიწყოს ხორო, რომ კულტურული ნაბიჯები გადავდგათო. ეს წინადადება კრებამ უკამათოდ მიიღო და ლოტბარ ილ. გოძიაშვილს დაავალა ახალდაბაშიც მოაწყოს გუნდი, თვით კავშირის ხარჯით. **ჩარხი**

— —

**სოფ. საგარეჯოში** (გარე-კახეთი) ა. წ. მარტის 7 ორ-კლასიან სასწავლებელში მოხდა ახალგაზრდების კრება კრების საგანი იყო ვინაიდან ძველი სცენის მოყვარეთა წრეს უმეტესი ნაწილი ჩამოშორდა და თეატრის მუშაობა შესუსტდა, შეედგინა ახალი სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც სისტემატიურათ გამართავდა წარმოდგენებს. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ი. მეტრეველი, მდივნად – ვ. ჯაფარიძე. დღიურ წეს-რიგში იყო: 1) სახელწოდება, 2) მოვალეობა სცენის მოყვარეების, 3) რეგისტრაცია, 4) გამგეობის არჩევნები. პირველ კითხვაზე კრებამ დაადგინა: სცენაზე მოთამაშეთა ჯგუფს დაერქვას „საგარეჯოს სცენის მოყვარეთა წრე“. მოვალეობის შესახებ ლაპარაკობს რამოდენიმე პირი, რის შემდეგაც კრებამ ერთხმად დაადგინა: სცენის მოყვარეთა წრე ექვემდებარებოდეს წრის გამგეობას, ხოლო წრის გამგეობა მუშაობდეს შეთანხმებით თეატრის გამგეობასთან. მოხდა აგრეთვე რეგისტრაცია, სადაც სცენის მოყვარედ ჩაეწერა 30-მდე პირი. შემდეგ მოხდა არჩევნები გამგეობისა: ერთხმად აირჩიეს: ლიზა ვაშაკიძე, სონა ქურხული და იასონ მეტრეველი, კანდიდატებათ ვასო ჯაფარიძე და პართენ ხურციძე. ბოლოს თეატრის სარეპერტუარო კომისიის თავმჯდომარემ გამოსთქვა დაარსდეს სცენის მოყვარეთა კასა, სადაც გადაიდება 25% ყოველი წარმოდგენის ძირითად შემოსავლიდანო. კრებამ ამ კითხვის შემუშავება მიანდო წრის გამგეობას შემდეგ კრებაზე წარმოსადგენად. დასასრულ თავმჯდომარე კრებამ ახალად შემდგარ წრეს უსურვა შეთანხმებით ენერგიული და გულ-მხურვალე მუშაობა, რაც მომასწავებელი იქნება პროგრესის და კულტურის გზის გაშუქება—გაცისკროვნებისა. **ვა – სა**

სახელოვნო—სათეატრო—სალიტერატურო სურათებიანი ჟურნალი

# „თეატრი და ცხოვრება“

დაარსებულია 1910 წ. **გამოდის ყოველ კვირა,** თითო № 15 შ. **წლიურად ჯერჯერობით** 200 მანათი, (შეიძლება ფასი მოემატოს). ხელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაში (ბაზრის ქ., ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახლი არჯევანიძისა, № 20)

**(ჟურნალის საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად მიიღება შემოწირულებაც).**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

მისი ... ტრში

## წვრილი ამბები

**„თეატრი და ცხოვრება“** — საიუბილეო ნომერი შემდეგ კვირას გამოვა.

**შალვა დადიანი** ლანჩხუთს გაიწვიეს „ექიმ შტოკმანში“ მონაწილეობისათვის.

**ლანჩხუთში** სადღეისოდ განზრახულია „ექიმი შტოკმანის“ წარმოდგენა.

**კომ ვ. დოლიძე** სწერს ახალს ოპერას „ლეილას“. შინაარსი აღებულია ა. ცაგარელის „ლიკის ქალი **გულჯავარი**“-დან.

**ვ. რ. ყიფიანს**, დრამატურგს და საზოგადო მოღვაწეს, იუბილეს უმართავენ საბანკო და საზოგადო პატიოსანი 25 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავად.

**შალვა გომართელის** პიესები „ქართველი სტუდენტები“, „უკანასკნელი ქეიფი“ და „კომისარი“ ცალკე წიგნად ჩქარა გამოვა.

**პიესა** „საშინელი შურის ძიება ანუ შვილი თუ საყვარელი“, თარგ. მ. ქორელის, შეკეთებული შალვა დადიანის მიერ, ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება ამ მოკლე ხანში.

**კოკი ებრალიძე** სცემს თვიურ ჟურნალს „ახალი ღმერთები“.

**შესდგა დრამატიული დასი „არმაზი“**, რომლის მიზანია, დრამატიულ ხელოვნებაში შეიტანოს ახალი მიმართულება. „არმაზი“ სისტემატიურ მუშაობას უკვე შეუდგა მე 2 ქართულ კლუბში (ყოფილი ხარფუხისა). პირველი წარმოდგენა გაიმართა ა. წ. 11 მარტს. დასი ამზადებს ახალ პიესებსაც. ჩვენი ჟურნალის № 10-ში დაბეჭდილი ცნობა ვითომ მე 2 ქართულ კლუბში არაბიძის რეჟისორობით შემდგარიყოს დასი, სინამდვილეს მოკლებულია.

**მოსკოვის სამხატვრო თეატრის** დასი კაჩალოვის თაოსნობით თბილისს ჩამოვიდა. მალე წარმოდგენების გამართვას დაიწყებენ სახელ. თეატრში.

განცხადებანი მიიღება ჟურნალში დასაბეჭდ. **ფასი ზომიერია.**

## „პ ა რ ნ ა ს ი“

**ყოველთვიური სამხატვრო სალიტერატურო ჟურნილი**

№ 2 გამოვა 15 აპრილს № 2

მონაწილეობენ: **გალ. ტაბიძე, ი. მჭედლიშვილი, კ. ებრალიძე, მიხ. ბოჭორიშვილი, ხარ. ვარდოშვილი, არ. გაბუნია, შ. გომართელი, მ. ბრონშტეინ, კ გერგესელი, ლ. ძიძიგური, ლ. პარნასელი, ჰერკ. ყანჩელი, კ. რატიშვილი, აქილესი, დ. ა., გ—ი, შ მეფანდური.**

**ყდა — მ. თოიძე**

რედაქტორი **შალვა მეფანდური.**

რედაქციის მისამართი: პანასევიჩის ქ. № 12, „პარნასის“ რედაქცია.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

## მასწ. გრიგოლ შავიშვილის

შემდეგი წიგნები

1 **„მეგი“**, დრამა 4 მოქმ.
2 **გამარჯვებულნი,** დრამა 4 მოქ.
3 **„სიმწრის ცრემლები“**, რომანი

(2 - 2)

აგენტებს და მაღაზიებს გასაყიდათ კანტორა „განათლები“-ს გამოცემა **ან. ჟუჟისპიელის**

## „ტყის ძმები“

მოთხრობა გურიის ახლო წარსულიდან ფასი 40 მან.

იქვე იყიდება ახლად დაბეჭდილი **ტრიფონ რამიშვილის** 3 მოქმ. პიესა **„სტუმარ-მასპინძლობა“** ფასი 25 მან.

საწყობი წიგნის მაღაზია „განათლება“-ში ოლღას ქ. № 6

პირველხარისხოვანი რესტორანი

# შამპანი!

ამხ—ბა ძმათა კერესელიძების და ბაქრაძეთა

(რუსთაველის პრ. სახლი გორელაშვილის № 16)

ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის სასტუმროდ.

საუზმე და სადილი ქართლური, იმერული, ევროპიული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თავდგომით, სასმელები ყოველნაირი. რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

(წლიური)



არუი)



ქართული დრამატიულ დასის დაარსებიდან 40 წ. შესრულების გამო (ძველ კოლექციიდან)

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.